

# წლიური ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და

## ქვეპროგრამების შესახებ

სსიპ. მონაცემთა გაცვლის სააგენტო 26 05

(დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ინსტიტუციური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ელექტრონული მმართველობის განვითარება (პროგრამული კოდი 26 05)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

აღსრულების ეროვნული ბიურო, მოქალაქის პორტალის მომხმარებლებს (რომლებიც წარმოადგენენ მხარეს - კრედიტორს ან მოვალეს) სთავაზობს სერვისს, რომლის მეშვეობითაც პირი შეძლებს გაეცნოს იმ ელექტრონული სააღსრულებო წარმოებ(ებ)ის მასალებს, სადაც იგი რეგისტრირებულია კრედიტორად ან მოვალედ. აღწერილია ელექტრონული სააღსრულებო წარმოება სერვისის ფუნქციონალი, მიმდინარეობს მისი ტექნიკური რეალიზაცია. რეალიზებულია ელექტრონული სააღსრულებო წარმოება სერვისის ფუნქციონალი. მიმდინარეობს აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან მოქალაქის პორტალის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების პროცესი.

გაფორმდა ხელშეკრულება აღსრულების ეროვნულ ბიუროს, მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და UCC-ს შორის გადამხდელის მიერ სერვისის პროვაიდერის მიერ დაწესებული საფასურის მიღებასთან დაკავშირებით.

აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მისი საქმიანობის შესრულებისას საქართველოს მოქალაქეებისათვის ჩამორთმეული ქონების რეალიზაციის მიზნით, ონლაინ მაღაზიის სისტემის შემუშავების სამუშაოები დაიწყო.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დავალებით დაიწყო მთავრობის წლიური სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პორტალის ფუნქციონალური მოთხოვნების ჩამოყალიბების პროცესი. პორტალის მიზანია სამინისტროების მიხედვით ელექტრონულად აღიწეროს მთავრობის მიერ დასახული ამოცანების შესაბამისი აქტივობები/ქვეაქტივობები და მოხდეს მათი შემდგომი მონიტორინგი.

ახმეტის, ყვარელის, ქარელის, ხაშურის, ხობის, თეთრიწყაროს და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში სოციალური დახმარებების, მშენებლობის ნებართვებისა და

ქონების პრივატიზაციის სერვისების რეალიზაციის სამუშაოების ფარგლებში აღწერილია და ინტეგრირებულია მუნიციპალიტეტების ელ-სერვისების ფუნქციონალი, მიმდინარეობს მათი მოქალაქის პორტალზე რეალიზაცია.

განახლდა ერთიანი სავაჭრო ქსელის სისტემის განვითარების პროცესი. მიმდინარეობს სისტემის ხელახალი ტესტირება. კონტენერების იმპორტთან ერთად მიმდინარეობს ექსპორტის პროცესის რეალიზებაც, სადაც ჩართულნი არიან შემოსავლების სამსახური, რკინიგზა, პორტები, საზღვაო ხაზები, ტერმინალები, ექსპედიტორები. ჩატარდა ტრენინგი ექსპედიტორებისთვის, მიმდინარეობს მონაცემების გაცვლასა და ელექტრონული სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებულ იურიდიულ საკითხებზე შემოსავლების სამსახურთან მუშაობა.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ ინიცირებული და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა შესაბამისი ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლში, რის საფუძველზეც მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიენიჭა TFS-ის სისტემის ფარგლებში გადამხდელების საიდუმლო საგადასახადო ინფორმაციაზე წვდომის უფლება.

დასრულდა სერვისების კატალოგის ვებ-გვერდის ტექნიკური დიზაინის პროცესი.

ღია მონაცემების პორტალზე data.gov.ge მიმდინარეობს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებიდან მონაცემების ცხრილების და მეტა-მონაცემების მიღება, დამუშავება, ანალიზი და მათი გამოქვეყნება. განახლებულია პორტალის ფუნქციონალი მონაცემების გამოტანის ოპტიმიზაციის მიზნით. დაიწყო პროექტის მეორე ფაზა, რაც გულისხმობს პორტალზე მონაცემთა ცხრილების რაოდენობის გაზრდას და ღია მონაცემების გამოყენების პოპულარიზაციას, ამასთან, შემუშავებულია data.gov.ge-ს მეორე ვერსიის ფუნქციონალური ანალიზის დოკუმენტი. მიმდინარეობს მისი ტექნიკური რეალიზაცია.

ეროვნული ბანკის მიერ ღია მონაცემების პორტალზე ატვირთული მონაცემთა ცხრილის - „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეესტრი“ საფუძველზე შეიქმნა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ლოკაციების აპლიკაციის ფუნქციონალური აღწერის დოკუმენტი. მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები. აპლიკაციის მიზანია, მომხმარებელმა ნახოს საკუთარი მდებარეობის მახლობლად განლაგებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, კერძოდ ვალუტის გადამცვლელი პუნქტის სრული დასახელება და მისამართი.

სარეზერვო დატაცენტრისათვის დამატებითი ტექნიკის შესაძენად გამოცხადდა ტენდერი.

რეალურ გარემოში გაშვებულია სოლიდარობის ფონდის ვებ გვერდი.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან ერთად აღწერილია iChange-ს (ონლაინ პეტიციების სისტემა) სისტემის ზედა დონის მოთხოვნები. დასრულდა სისტემის დეტალური ფუნქციონალური ანალიზის დოკუმენტისა და ვიზუალური დიზაინის შექმნის სამუშაოები. დასრულდა სისტემის რეალიზება, მიმდინარეობს სისტემის ტესტირება.

სისტემა რეალიზებულია. ველოდებით შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებას.

იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, შემუშავებულია help.justice.gov.ge ვებ გვერდის ფუნქციონალის დოკუმენტი და დასრულებულია მისი რეალიზაცია.

შემუშავებულია my.gov.ge-ს ადმინისტრირების პორტალის ფუნქციონალური ანალიზის დოკუმენტი და დასრულებულია მისი რეალიზაცია. ადმინისტრირების მოდულების საშუალებით შესაძლებელი იქნება მოქალაქის პორტალის ფუნქციონირების შესახებ სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების მოძიება და ანალიტიკური ანგარიშების მიღება. მოხდება პორტალზე გამოქვეყნებული გადახდების სერვისების მომწოდებლების მართვა და ახლების დამატება. პროექტის ფარგლებში აგრეთვე გათვალისწინებულია იმ ორგანიზაციების დამატებისა და მართვის ფუნქციონალი, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება დაარეგისტრირონ მომხმარებლები მოქალაქის პორტალზე.

სსგს-თან ერთად მიმდინარეობს მოქალაქის პორტალზე ვიდეოხარის საშუალებით მოქალაქეთა რეგისტრაციის ფუნქციონალური ანალიზის დოკუმენტზე მუშაობა.

საქართველოს ვებ-სივრცეში არსებული დაზიანებული ვებ-საიტებისა და დაინფიცირებული IP მისამართების აღრიცხვიანობისა და ისტორიული მონაცემების შეგროვება-ანგარიშების მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შეიქმნას სისტემა, რომელიც წარმოდგენილი იქნება 2 მოდულის სახით. ერთი მოდული მოემსახურება დაზიანებული ვებ-საიტების აღრიცხვას, ხოლო მეორე კი IP მისამართების მონიტორინგს. შემუშავებულია CheckNet-ს პორტალის ფუნქციონალური ანალიზის დოკუმენტი, მისი გრაფიკული დიზაინი და დასრულებულია მისი რეალიზაცია.

დასრულდა გარემოს დაცვის სერვისების (ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიები) my.gov.ge-ზე ინტეგრაციის მიზნით, მათი ფუნქციონალური ანალიზის დოკუმენტის შემუშავების პროცესი. დაწყებულია პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება.

სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო“-ს ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიების სერვისი რეალიზებულია და გაშვებულია ბიზნეს პორტალზე რეალურ რეჟიმში.

დასრულდა my.gov.ge-ზე ორგანიზაციის პროფილის დამატების ფუნქციონალური ანალიზის დოკუმენტის შემუშავების პროცესი. ეს ფუნქცია საშუალებას მისცემს ორგანიზაციებს გამოიყენონ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ელექტრონული სერვისები.

my.gov.ge-ს ორგანიზაციის პროფილი (ბიზნეს პორტალი) რეალიზებულია და გაშვებულია რეალურ რეჟიმში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ საქპატენტთან ჩატარებული ერთობლივი სამუშაოების შედეგად ჩამოყალიბდა ამოცანა მოქალაქის პორტალზე სასაქონლო ნიშნების შესახებ ინფორმაციული სერვისის

შექმნასთან დაკავშირებით. სერვისის რეალიზაციის შედეგად, მომხმარებელი შეძლებს მოქალაქის პორტალზე იხილოს თუ რა სასაქონლო ნიშნები აქვს დარეგისტრირებული, როდის მოხდა მათი რეგისტრაცია და ვინ იყო რეგისტრაციის პროცესში ჩართული. მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში დაინტეგრირდა საქპატენტის სერვისები, მიმდინარეობს მუშაობა ამ სერვისების მოქალაქის პორტალზე გამოსატანად.

დაიწყო საკანონმდებლო მაცნისთვის ონლაინ წიგნების მაღაზიის ვებგვერდის შექმნა - ჩამოყალიბდა ამოცანა და დაწყებულია პროგრამული პროდუქტის შემუშავება. წიგნების ონლაინ მაღაზიის რეალიზების პროცესი დასრულებულია, გაფორმებულია მიღება/ჩაბარების აქტი.

დასრულდა საპროკურორო საბჭოს ვებგვერდის ძირითად ფუნქციონალზე მუშაობა. მიმდინარეობს ტესტირება. საპროკურორო საბჭოს ვებგვერდი რეალიზებულია და გაშვებულია რეალურ გარემოში.

დასრულდა ღია მონაცემების პორტალის data.gov.ge-ს ახალ ვერსიის რეალიზება. მიმდინარეობს ახალი ფუნქციონალის ტესტირება.

ადგილზე გაიტესტა ერთიანი სავაჭრო ქსელის სისტემა. ტესტირების დროს მონაცემთა გაცვლის თანამშრომლები იმყოფებოდნენ ფოთში და ბათუმში. მიმდინარეობს ტესტირების აღმოჩენილ ხარვეზებზე და ახალი ფუნქციონალზე მუშაობა.

საჯარო მოხელეთა ბიუროსთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის სისტემის ფუნქციონალური ანალიზის დოკუმენტზე. სისტემა მიზნად ისახავს წარმოაჩინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის უზრუნველყოფისათვის მონაცემების მოგროვება სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან.

სსგს-თან ერთად მიმდინარეობს სამუშაოები მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის დადგენის სერვისის მოქალაქის პორტალზე ინტეგრაციასთან დაკავშირებით. ვახორციელებთ ფუნქციონალური მოთხოვნების ჩამოყალიბების პროცესს.

შეიცვალა მოქალაქის რეგისტრაციის მისამართის ცვლილების პროცედურა. ამჟამად მიმდინარეობს ახალი მოთხოვნების ჩამოყალიბების პროცესი.

აღწერილია მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ახალი ვებგვერდის მიმართ ფუნქციონალური მოთხოვნები. მიმდინარეობს ვიზუალური დიზაინის სამუშაოები.

შეიცვალა მოქალაქის პორტალზე ინტეგრირებული ჯანდაცვის სოციალური სააგენტოს სერვისები. მიმდინარეობს სერვისების რეალიზაციის ტექნიკური სამუშაოები და სოციალურ სააგენტოსა და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შორის ხელშეკრულების გაფორმების პროცესი.

განხორციელდა შეღწევადობის ტესტები შემდეგ ორგანიზაციებში:

- სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი "დელტა"
- სსიპ "საფინანსო-ანალიტიკური სამსახური" HR.GOV.GE
- სამეგრელო ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (3 საიტი)
- შპს "სამოქალაქ პრესა" (4 საიტი)
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
- სსოპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური

CERT.GOV.GE ის თანამშრომლებმა ჩააბარეს SANS ის AUD507: Auditing & Monitoring Networks, Perimeters & Systems გამოცდა.

შეიქმნა კიბერ-ინციდენტებზე სახელმძღვანელოები, რომელიც მოიცავს კიბერ-შეტევების ვექტორების აღწერას, მათი სიმპტომების ანალიზს და რეაგირების გზების დასახვას. სახელმძღვანელოები განკუთვნილია მომხმარებელთა ფართო სპექტრისთვის და ამოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა კიბერ-შანტაჟი, ინფორმაციის გაჟონვა, სოციალური ინჟინერია, სხვა გარე და ინსაიდერული საფრთხეები.

NATO SPS-ის ფარგლებში თურქეთში უკრაინელი და მონღოლი სპეციალისტებისთვის მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლებმა ჩაატარეს 2 ტრენინგი ინფორმაციული და კიბერ-უსაფრთხოების საკითხებზე, რომელთაგანაც თითოეულის ხანგრძლივობა შეადგენდა 1 კვირას.

შეიქმნა DNS სერვისების შემმოწმებელი სისტემა. DNS მონიტორინგის სერვისი აწარმოებს ქართული პროვაიდერების ღია DNS სერვერების მონიტორინგს ე.წ. spoofing და cache poisoning შეტევებზე. სერვისს გააჩნია მნიშვნელოვანი ვებ გვერდების სია, რომელთა IP მისამართები ჯერ მოწმდება ლოკალური სერვერის მიხედვით, შემდეგ კი აღნიშნული ღია DNS სერვერების მიხედვით. ამის შემდეგ სერვისი ადარებს ლოკალური და ღია სერვერების მონაცემებს. თუ რომელიმე ღია სერვერის პასუხი განსხვავებული იქნება ლოკალური სერვერისაგან, მაშინ სერვისი ელ.ფოსტის საშუალებით აგზავნის შესაბამის შეტყობინებას. მნიშვნელოვანი საიტების სიაში შედის სამთავრობო, საბანკო ვებ საიტები და აგრეთვე სოციალური ქსელები.

გაეშვა Check My IP სისტემის განახლებული ვერსია. სისტემის მიზანია საქართველოს მოქალაქეების კუთვნილ კომპიუტერებში მავნე კოდის აღმოჩენა და მათი გაუვნებელყოფის ხელშეწყობა. პორტალი CheckNet-ი ხელმისაწვდომია საქართველოს ყველა მოქალაქისთვის. პორტალის გამოყენება უფასოა. პორტალი CheckNet-ი ბაზაში ამ დროისათვის ატვირთულია ინფორმაცია Zone-h და Clean-MX 170 000 ჩანაწერი. პორტალზე მუშაობა ამ დროისთვის დასრულებულია. მიმდინარეობს შეღწევადობის ტესტირება, რის შემდეგაც პორტალი მზად იქნება საჯაროდ გამოქვეყნებისთვის.

კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფმა CERT.GOV.GE საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში კომპანია „Arbor Networks“-თან დაიწყო თანამშრომლობა.

CERT.GOV.GE-ს სერვერულ საცავში, „Arbor Networks“-ის სერტიფიცირებული უცხოელი სპეციალისტების დახმარებით მოხდა ქსელური უსაფრთხოების მოწყობილობის - PRA NSI – 5100 სერიის ინსტალაცია.

PRA NSI - 5100 სერიის მოწყობილობა უზრუნველყოფს ქსელური ნაკადების მეშვეობით მავნე პროგრამებისა და ე.წ. ჰაკერული შეტევების დაფიქსირებას. დღეის მდგომარეობით CERT.GOV.GE-ს მიერ ანალიზდება 11-მდე სამთავრობო ორგანიზაციის ქსელური ნაკადი. აღსანიშნავია, რომ CERT.GOV.GE-ს ჯგუფის წევრებმა უკვე გაიარეს შესაბამისი გადამზადება მოწყობილობასთან სამუშაოდ. რის შედეგადაც ნაპოვნი იქნა 182720 ინციდენტი.

კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფში (CERT.GOV.GE) სატესტო რეჟიმში მიმდინარეობს HoneyPot სისტემების ინსტალაცია და დანერგვა.

ამ ეტაპზე ჯგუფი იყენებს შემდეგი ღია კოდის სისტემებს Kippo, Dionaea, Conpot. რითაც ხდება შემდეგი სერვისების ემულაცია: ssh,SMB, http, tftp, MSSQL, MySQL, SIP, SCADA.

ე.წ. honeypot არის სპეციალური ტიპის სისტემა, რომელიც ახდენს უსაფრთხოების სისუსტის შემცველი სერვისების ემულაციას. ამის მეშვეობით შესაძლებელი ხდება დაფიქსირდეს თუ ვინ ახორციელებს შეტევებს ქართულ სამთავრობო კომპიუტერულ ინფრასტრუქტურაზე.

დამატებით მომზადდა და გაეშვა CERT.GOV.GE -ს ახალი სერვისები:

- დომენების შემოწმების სისტემა (Checknet.ge).
- მავნე კოდის ანალიზის სისტემა.
- შეტევების აღმოჩენის სისტემა ე.წ. (Honeypot).
- დაემატა ახალი ტიპის სენსორი, პაკეტების ღრმა ანალიზი

CERT ჯგუფმა ჩააბარა სასერტიფიკაციო გამოცდა GSNA და ჯგუფის წევრებმა მოიპოვეს შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატები.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების სამთავრობო ჯგუფმა (CERT.GOV.GE) აგვისტოს თვეში თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები გააფორდა სომხეთისა და ლატვიის CERT ჯგუფებთან. სომხეთისა და ლატვიის გარდა, მემორანდუმები უკვე გაფორმებულია რუმინეთს, აზერბაიჯანსა და მოლდოვასთან, ხოლო აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს თურქეთის, ესტონეთის, ლიტვის, პოლონეთის, უნგრეთისა და იტალიის შესაბამის ორგანიზაციებთან.

მემორანდუმების გაფორმებასხელი შეუწყო მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ორგანიზებით ივლისში, ქ. თბილისში რეგიონული კიბერუსაფრთხოების შესახებ საერთაშორისო სემინარის ჩატარებამ, რომელიც რეგიონში კიბერუსაფრთხოების დაცვისა და განვითარების საკითხებს მიეძღვნა.

დასრულდა „კიბერ-კლასის“ პროექტის მონაწილეების შერჩევა. პროექტის მიზანია ნიჭიერ ახალგაზრდა სპეციალისტებს (20-25 წელი) დაეხმაროს კიბერუსაფრთხოების საფუძვლების ათვისებაში და ასევე გაუზიაროს მათ სააგენტოში ამ მიმართულებით დაგროვილი ცოდნა. სრული კურსი მოიცავს 6 სასწავლო კვირას. კვირაში გათვალისწინებულია ერთი 2-3 საათიანი ლექცია. ყოველი ლექცია თეორიულ მასალასთან ერთად მოიცავს სპეციალურ ლაბორატორიულ სამუშაოს. კურსისთვის მომზადდა შესაბამისი სახელმძღვანელოები და პრაქტიკული სავარჯიშოები, ასევე მოწვეული არიან მაღალი კვალიფიკაციის ექსპერტები და დარგის სპეციალისტი კონკრეტული თემის მიხედვით პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად. შერჩევის პროცედურაში მონაწილეობა მიიღო 120-ზე მეტმა კანდიდატმა, საიდანაც შეირჩა პროექტის 16 მონაწილე, რომლებსაც ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგები.

ჩატარდა კიბერ უსაფრთხოების ფორუმის 3 შეხვედრა: ყვარელში, თილისში და ერთი საგანგებო შეხვედრა კრიზისების მართვის საბჭოში. შეხვედრებზე განხილული იქნა კიბერ-უსაფრთხოების სფეროში ქვეყანაში არსებული პრობლემები, კიბერ-უსაფრთხოების სფეროში ჩართული ორგანიზაციების თანამშრომლობის საკითხები და კიბერ-უსაფრთხოების ფორუმის ინსტიტუციური მოწყობის საკითხი.

ჩატარდა ტრენინგი ქართველო სპეციალისტებისთვის ინფორმაციულ უსაფრთხოებაში (შესავალი, დანერგვა, აუდიტი)

ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების დანერგვაში ხელშეწყობის მიზნით ჩატარდა ინფორმაციული შეხვედრები შემდეგ ორგანიზაციებში:

- ფინანსთა სამინისტრო
- ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- ეროვნული გამოცდების ცენტრი
- შეხვედრა ჯანდაცვის სამინისტრო
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
- აეროპორტების გაერთიანებაში
- სმარტ ლოჯიკთან

ჩატარდა „საქართველოს ელექტროსისტემის“ ინფორმაციული სისტემების აუდიტი.

2015 წლის 30 ივნისიდან 2 ივლისის ჩათვლით მოეწყო NATO-ს საერთაშორისო ვორქშოპი „კიბერდაცვაში თანამშრომლობის განვითარება სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 15-მდე ქვეყნის 30-მა წარმომადგენელმა.

ავვისტოსა და სექტემბრის თვეებში ჩატარდა 2 ტრენინგი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შექმნასა და დანერგვაში, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო როგორც კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების (ჯამში 15 ორგანიზაცია), ისე სხვა ორგანიზაციების, მათ შორის, კიბერუსაფრთხოების ბიუროს წარმომადგენლებმა - როგორც ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერებმა, ისე კომპიუტერული უსაფრთხოების სპეციალისტებმა.

მე-4 კვარტალში შემუშავდა ახალი სასწავლო კურსი „ორგანიზაცია და მართვის სისტემები“. პირველი სატრენინგო კურსის გავლისთვის რაგისტრაცია დასრულებულია.

დასრულდა სტანდარტის ISO 31000 ლოკალიზება.

ჩატარდა Cyber EXE Georgia 2015, რომლის მიზანსაც წარმოადგენს CERT-ის საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება უშუალო სამიზნე აუდიტორიაში, ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით ქვეყანაში მნიშვნელოვანი ორგანიზაციების ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტების საკომუნიკაციო ქსელის განვითარება და კრიზისულ სიტუაციებში ცოდნის და კონტაქტების გამოყენების მექანიზმების ხელშეწყობა. სავარჯიშოში მონაწილეობა მიიღო 50-მდე სპეციალისტმა და 15-მა გუნდმა. 2015 წლის ივნისიდან დეკემბრის ჩათვლით განხორციელდა ქსელური ნაკადის ანალიზის აპარატურის ტესტირება(Arbor Networks).

მონაცემთა გაცვლის სააგენტოში დაინერგა ხარისხის მართვის სისტემა საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2008-ის შესაბამისად. სექტემბრის თვეში ჩატარდა საერთაშორისო სასერტიფიკაციო აუდიტი, რომლის შემდეგაც სააგენტოს მოიპოვა ISO 9001:2008 საერთაშორისო სერტიფიკატი, რომელიც აღიარებულია IQnet-ის - საერთაშორისო სასერტიფიკაციო ქსელის მიერ. სერტიფიკატის ნომერია: 15.1124.026.

#### **დასახული საბოლოო შედეგები:**

- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ჩართული ის სახელმწიფო ორგანიზაციები და მთელი კრიტიკული ინფრასტრუქტურა, რომლებიც ახორციელებენ ელექტრონული სერვისების მიწოდებას;
- სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისების (მათ შორის, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ელექტრონული სერვისები) ხელმისაწვდომობის ზრდა მოქალაქის პორტალის მეშვეობით;
- ერთიანი სავაჭრო ქსელის სისტემის გაშვება და მისი მოქმედების არეალის ზრდა;
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სახელმწიფო სისტემაში ჩართული სახელმწიფო დაწესებულებები და შესაბამისად გაზრდილი დოკუმენტბრუნვა.
- მონაცემთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციების და კრიტიკული ინფრასტრუქტურის მონაცემთა ზრდა;

- ღია მონაცემების იდენტიფიკაციის, შეგროვების, გამოქვეყნებისა და შეფასების ადმინისტრაციული მექანიზმისა და შესაბამისი პროცედურების შექმნა. ღია მონაცემების პორტალის შემუშავება.
- ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვა კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებში; მსხვილ სახელმწიფო და კრიტიკული ინფრასტრუქტურის ორგანიზაციებში ინციდენტების გამოვლენის ზრდა.

### 2015 წლის 12 თვეში მიღწეული შედეგები:

- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში გრძელდება ახალი ორგანიზაციების ინტეგრაცია, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 6-ჯერ არის გაზრდილი ტრანზაქციების ჯამური რაოდენობა. ინფრასტრუქტურის მდგრადობისა და უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით სარეზერვო დატაცენტრისათვის დამატებითი ტექნიკის შესაძენად გამოცხადდა ტენდერი, ტექნიკა შესყიდულია და დასაწყობებულია.
- მოქალაქის პორტალზე სრულად არის რეალიზებული მოქალაქის ფუნქციონალი. ინტერგრებულია სახელმწიფო და კომუნალური სერვისები, აღსრულების ეროვნული ბიურო, მოქალაქის პორტალის მომხმარებლებს აღწერილია ელექტრონული სააღსრულებო წარმოება სერვისის ფუნქციონალი, მიმდინარეობს მისი ტექნიკური რეალიზაცია. მუნიციპალიტეტებში სოციალური დახმარებების, მშენებლობის ნებართვებისა და ქონების პრივატიზაციის სერვისების რეალიზაციის სამუშაოების ფარგლებში აღწერილია და ინტეგრირებულია მუნიციპალიტეტების ელ-სერვისების ფუნქციონალი, მიმდინარეობს მათი მოქალაქის პორტალზე რეალიზაცია. პორტალზე ინტეგრირებულია აღსრულების ეროვნული ბიუროს 2 ახალი სერვისი, პორტალის ადმინისტრაციული ინტერფეისი გაშვებულია სატესტო გარემოში. my.gov.ge-ს ორგანიზაციის პროფილი (ბიზნეს პორტალი) რეალიზებულია და გაშვებულია რეალურ რეჟიმში.
- განახლდა ერთიანი სავაჭრო ქსელის სისტემის განვითარების პროცესი. მიმდინარეობს სისტემის ხელახალი ტესტირება. კონტეინერების იმპორტთან ერთად მიმდინარეობს ექსპორტის პროცესის რეალიზებაც, სადაც ჩართულნი არიან შემოსავლების სამსახური, რკინიგზა, პორტები, საზღვაო ხაზები, ტერმინალები, ექსპედიტორები. ჩატარდა ექსპედიტორების ტრენინგი სისტემის გამოყენებაში, რომელსაც ესწრებოდა 40-მდე ექსპედიტორი. განხილული იქნა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მოთხოვნები ინფორმაციის მიწოდებაზე, რაც ასახული იქნა სისტემაში. მე-3 კვარტალში დასრულდა სისტემის დანერგვა ფოთისა და ბათუმის ორტებში. სისტემა გაშვებულია სატესტო რეჟიმში. მე-4 კვარტალში მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ ინიცირებული და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა შესაბამისი ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლში, რის საფუძველზეც მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიენიჭა TFS-ის სისტემის ფარგლებში გადამხდელების საიდუმლო საგადასახადო ინფორმაციაზე წვდომის უფლება.
- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში დაინტეგრირდა შსს-ს, საჯარო რეესტრისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული კანცელარიის ინფორმაციული სისტემები, რომლებსაც სახელმწიფო დაწესებულებების 70%-ზე მეტი იყენებს, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა აღნიშნულ ორგანიზაციებს

შორის დოკუმენტების ელექტრონულად ურთიერთგაცვლა და მოქალაქის პორტალის საშუალებით ამ ორგანიზაციებიდან ინფორმაციის ელექტრონული გამოთხოვა.

- ღია მონაცემების პორტალზე data.gov.ge მიმდინარეობს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებიდან მონაცემების ცხრილების და მეტა-მონაცემების მიღება, დამუშავება, ანალიზი და მათი გამოქვეყნება. განახლებულია პორტალის ფუნქციონალური მონაცემების გამოტანის ოპტიმიზაციის მიზნით. შემუშავდა პორტალის განვითარების პროექტი და დეტალური სამოქმედო გეგმა. დასრულებულია სისტემის განახლებული ფუნქციონალის რეალიზება. დაწყებულია განახლებული ფუნქციონალის ტესტირების პროცესი.
- დაწყებულია ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის დანერგვა სახელმწიფო დაწესებულებებსა და კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებში.

#### მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები\*:

- 2015 წელს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში დამატებით ჩაერთო 26 ახალი ორგანიზაცია. ამ პერიოდში ინფრასტრუქტურაში ტრანზაქციების რაოდენობამ გადააჭარბა 55 მილიონს;
- მოქალაქის პორტალზე არსებული სახელმწიფო სერვისებიდან ინტეგრირებულია 56 სერვისი. ასევე, თითოეულ მოქალაქეს საშუალება აქვს პორტალიდან გადაიხადოს 80-მდე კომუნალური და სხვა სახის გადასახადები. მოქალაქის პორტალზე 2015 წლის 9 თვეში დარეგისტრირდა 4650-ზე მეტი მომხმარებელი; სახელმწიფო დაწესებულებებიდან ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვნის სერვისით 2015 წელს სახელმწიფო დაწესებულებებში გაგზავნილია 584 წერილი. აქედან მე-3 კვარტალში 171 წერილი.
- 2015 წლის 12 თვეში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სახელმწიფო ინფრასტრუქტურის გავლით გაიგზავნა 344183 ოფიციალური ელექტრონული დოკუმენტი, აქედან ბოლო კვარტალში 93793 დოკუმენტი.
- რეალიზებულია და რეალურ რეჟიმში გაშვებულია პორტალი data.gov.ge. პორტალზე 2015 წელს ჯამურად ატვირთულია 207 მონაცემთა ცხრილი, სულ ღია მონაცემების პორტალზე განთავსებულია 263 ცხრილი. ჩამოტვირთვების ჯამურმა რაოდენობამ წლის განმავლობაში გადააჭარბა 20 ათასს.
- 2015 წელს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემია დანერგილია 2 უწყებაში (სსგს, ეროვნული ბანკი), დანერგვა მიმდინარეობს კრიტიკული ინფორმაციული სისტემების 13 სუბიექტში, 2015 წელს ჩატარდა 5 ტრენინგი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შექმნასა და დანერგვაში, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ჯამში 60-მდე სპეციალისტმა, ტესტირების შედეგებიდან გამომდინარე, ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის სერტიფიკატი აიღო 9 მონაწილემ. ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის დანერგვაში მონაცემთა აგვლის სააგენტოს სპეციალისტებმა 2015 წელს კონსულტაცია გაუწიეს 15 ორგანიზაციას. 2014 წელს გაეშვა კიბერ-ინციდენტების მართვის განახლებული სისტემა OTRS. სისტემის ამუშავების შემდეგ, 2015 წლის 9 თვეში კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებში დაფიქსირდა 471

ინციდენტი (სულ 650 ინციდენტი), ყველა აღწერილ ინციდენტზე კომპიუტერულ ინციდენტების რეაგირების ჯგუფმა მოახდინა შესაბამისი რეაგირება.